



თესტი საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებები

2008

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.
გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ფურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. პასუხები უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცლის შესაბამის აღგილზე. პასუხების ფურცელში არ შეიძლება გაკეთდეს ზედმეტი სახის მინაწერები (სახელი, გვარი ან რაიმე სახის სხვა აღნიშვნა). ნაშრომები, რომელშიც იქნება მსგავსი სახის აღნიშვნები, არ გასწორდება.

წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისთვის განკუთვნილი ადგილები.

დავალებაში - «ოთხი შესაძლო ვარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი» - თქვენს მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა – ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება; თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. სხვა ტიპის დავალებებში შეცდომა აუცილებლად უნდა გადახაზოთ და ზემოთ დააწეროთ სწორი პასუხი. ყოველ შეკითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი.

გაითვალისწინეთ, ტესტის ბუკლეტში მოცემულია რეაქტი, რომელთა გამოყენება შეგიძლიათ სხვადასხვა დავალების შესრულების დროს.

ტესტზე სამუშაოდ აბიტურიენტს ეძლევა 3 საათი. შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტში არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას!

I. საქართველოს ისტორია

I – ოთხი შესაძლო გარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი

- ინსტრუქცია დავალებისათვის – „ოთხი შესაძლო გარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი“ – თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რომელი ლითონი დაამუშავა პირველად ადამიანმა?

- ა. ვერცხლი;
- ბ. ოქრო;
- გ. რკინა;
- დ. სპილენძი.

2. წინასწარი შეთანხმების მიხედვით, ვინ უნდა დახმარებოდა გახტანგ გორგასალს ანტიირანული აჯანყებისას?

- ა. ბიზანტიელები;
- ბ. ალბანელები;
- გ. ჰუნები;
- დ. ლაზები.

3. რომელი ტიტული მიიღო ბაგრატ III-მ 978 წელს?

- ა. მეფე ქართველთა;
- ბ. მეფე აფხაზთა;
- გ. მეფე რანთა;
- დ. მეფე კახთა.

4. ვის დაუკავშირდა გიორგი I ბიზანტიის წინააღმდეგ კოალიციის შესაქმნელად?

- ა. ანისის მეფე სუმბატ I-ს;
- ბ. ბულგარეთის მეფე მიხაი I-ს;
- გ. ეგვიპტის სულთან ალ-ჰაქიმს;
- დ. ოურქ-სელჩუკთა სულთან თოდრულ-ბეგს.

5. ვინ იყო XI საუძუნეში შექმნილი ბაგრატიონთა საგვარეულო მატიანეს ავტორი?

- ა. ჯუანშერი;
- ბ. ბასილ ეზოსმოძღვარი;
- გ. ლეონტი მროველი;
- დ. სუმბატ დავითის ძე.

6. რას ეწოდებოდა „სააჯო კარი“?

- ა. დარბაზის სხდომებისათვის განკუთვნილ ადგილს;
- ბ. უმაღლეს სასამართლო ინსტანციას;
- გ. მეფის პირად კანცელარიას;
- დ. საგაზიროს შეკრების დარბაზს.

7. რა პერიოდს მოიცავს უამთაადმწერლის თხზულება?

- ა. გიორგი IV-ის გამეფებიდან გიორგი V-ის გამეფებამდე;
- ბ. თამარ მეფის გამეფებიდან გიორგი V-ის გამეფებამდე;
- გ. რუსუდანის გამეფებიდან ვახტანგ III-ის გამეფებამდე;
- დ. გიორგი IV-ის გამეფებიდან დავით VIII-ის გამეფებამდე.

8. რას წარმოადგენდა „ძეგლის დადება“?

- ა. ბრძანებათა კრებულს, რომელშიც დადგენილი იყო მოხელეთა უფლება-მოვალეობები;
- ბ. კანონთა წიგნს, რომელშიც განსაზღვრული იყო გადასახადების რაოდენობა;
- გ. სამართლის ძეგლს, რომელშიც განსაზღვრული იყო სამეფო კარის ეტიკეტი;
- დ. კანონთა კრებულს, რომელიც განკუთვნილი იყო სამეფოს ერთ-ერთი კუთხის მოსახლეობისთვის.

9. 1387 წელს თემურ ლენგმა ქართველები დაამარცხა, მაგრამ ქვეყნის შიგნით აღარ შეიძრა, რადგან

- ა. ქართველებთან ბრძოლაში მისმა ჯარმა დიდი ზარალი განიცადა და ქვეყნის დაპყრობის ძალა აღარ პქონდა;
- ბ. აზერბაიჯანში თოხთამიში შეიძრა და თემური იძულებული გახდა მის წინააღმდეგ გაელაშქრა;
- გ. საქართველოს ვიწრო ხეობებში მრავალრიცხოვანი ჯარის შეყვანა შეეშინდა;
- დ. ოსმალთა სულთანმა ბაიაზეთმა მის წინააღმდეგ ახალი ომი წამოიწყო და ჯარი ოსმალთა წინააღმდეგ უნდა დაეძრა.

10. როგორ გაიყვეს ირანმა და ოსმალეთმა საქართველოს ტერიტორია ამასის ზავის მიხედვით?

- ა. ირანს ერგო აღმოსავლეთ, ხოლო ოსმალეთს – დასავლეთ საქართველო;
- ბ. ოსმალეთს ერგო დასავლეთ, ხოლო ირანს – სამხრეთ საქართველო;
- გ. ირანს ერგო დასავლეთ, ხოლო ოსმალეთს – სამხრეთ საქართველო;
- დ. ოსმალეთს ერგო აღმოსავლეთ, ხოლო ირანს – დასავლეთ საქართველო.

11. რა მოიმოქმედა კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ, როდესაც ოსმალთა სარდალი ლალა ფაშა კახეთს მიადგა?

- ა. მიატოვა კახეთი და ოჯახთან ერთად თავი მთაში არსებულ მიუვალ ციხეებს შეაფარა;
- ბ. დახმარება რუსეთს სთხოვა, მაგრამ რეალური დახმარება ვერ მიიღო და თავს გაქცევით უშეველა;
- გ. საჩუქრები მიართვა ოსმალთა სარდალს, თავი მის ვასლად აღიარა და კახეთი აოხრებას გადაარჩინა;
- დ. ჯარი შეკრიბა, დაიხმარა ქართლელები და ჩრდილოეთ კავკასიელები და მტერი დაამარცხა.

12. რომელ ირანულ სამოხელეო ტიტულს ატარებდა ქართლში გამეფებული ხოსრო მირზა?

- ა. ვალი;
- ბ. ამირა;
- გ. პიტიახში;
- დ. მარზპანი.

13. რატომ ვერ განხორციელდა რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის მიერ გამოცემული მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ?

- ა. მანიფესტი არ დაამტკიცა რუსეთის სენატმა;
- ბ. ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ ინგლისი და საფრანგეთი;
- გ. იმპერატორი შეთქმულებმა მოკლეს;
- დ. ბოლო მომენტში იმპერატორს ქართველთა აჯანყების შეეშინდა.

14. რატომ გადაასახლა რუსეთის ხელისუფლებამ დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლიში?

- ა. იგი ბატონებმობის გაუქმების მოთხოვნით გამოვიდა;
- ბ. მან მხარი დაუჭირა კახეთში მომხდარ შეიარაღებულ აჯანყებას;
- გ. საპროტესტო წერილით მიმართა საქართველოს ეგზარქოსს;
- დ. საჯაროდ დაგმო მეფისნაცვლის რუსიფიკატორული პოლიტიკა.

15. რამ აიძულა ამიერკაგასიის პოლიტიკური მოღვაწეები მოეწვიათ სეიმი?

- ა. იმპერატორ ნიკოლოზ II-ის გადადგომის შემდეგ დროებითი მთავრობის შექმნამ და პირველი მსოფლიო ომის გაგრძელებამ;
- ბ. ნიკოლოზ II-ის ბრძანებით რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გარეკვამ და რუსეთში ერთპიროვნული მმართველობის აღდგენამ;
- გ. ბოლშევიკების მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვამ, რამაც ცხადი გახადა, რომ ისინი ხელისუფლებას არავის არ დაუთმობდნენ;
- დ. რუსეთის დამფუძნებელი კრების მიერ დროებითი მთავრობის გადაყენებამ და ერთიანი რუსეთის იმპერიის შენარჩუნების მცდელობამ.

II – დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით

- ინსტრუქცია დავალებისათვის – „დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით (უძველესიდან უახლესისაკენ)“ – პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მეოთხე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება მაქსიმუმ 3 ქულით ფასდება.

16. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით (უძველესიდან უახლესისაკენ)
საქართველოში განხორციელებული ლაშქრობები:

1. შაჰ აბას I-ის;
2. თემურ ლენგის;
3. ჯალალ ად-დინის;
4. შაჰ თამაზ I-ის.

17. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით (უძველესიდან უახლესისაკენ)
მოღვაწეობის დროის მიხედვით შემდეგი ისტორიული პირები:

1. გარსევან ჭავჭავაძე;
2. ბიძინა ჩოლოყაშვილი;
3. გახუშტი ბატონიშვილი;
4. გიორგი სააკაძე.

III – ჩაწერეთ მრავალწერტილის ნაცვლად სწორი პასუხები

- ინსტრუქცია დავალებისათვის – „ჩაწერეთ მრავალწერტილის ნაცვლად სწორი პასუხები“ - ტექსტში გამოტოვებული სიტყვების ან თარიღების ნაცვლად ჩაწერეთ სწორი პასუხები. თითოეული გამოტოვებული ადგილი დანომრილია (1, 2, 3). პასუხების ფურცელში 1-ით დანომრილ ადგილზე ჩაიწერება ის პასუხი, რომელსაც ტექსტში 1-ით აღნიშნულ გამოტოვებულ ადგილზე ჩაწერდით და ა.შ. თითოეული სწორი პასუხი 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა – 3.

18. ძველი ქართული საისტორიო თხზულების (1) „ “ მიხედვით, ქართლი ალექსანდრე მაკედონელმა დალაშქრა. მან აქ მმართველად (2) დატოვა, რომელიც წარმომავლობით არიან-ქართლიდან იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ პი უკვე ფარნავაზი გამეფდა, რომელიც ძვ.წ.აღ-ის (3) საუკუნეში მოღვაწეობდა.

საგარაულო პასუხები:

| | | | |
|----------------------|-----------|------------------------|-----------------------|
| „მატიანე ქართლისაი“; | ამაზასპი; | V; | „მოქცევაი ქართლისაი“; |
| ასფაგური; | III; | „ცხოვრებაი ქართლისაი“; | აზო; |
| | | | I; |

19. არსებობს სამი სახის ქართული დამწერლობა: ასომთავრული ანუ (1). . . ნუსხური და მხედრული. საქართველოს ტერიტორიაზე უმველესია (2). . . სიონის წარწერა, რომელიც (3). . . საუკუნით თარიღდება.

საგარაულო პასუხები:

| | | | | |
|-------------|------|------------|-----|----------|
| ხაზოვანი; | III; | თბილისი; | IV; | ატენი; |
| მრგვლოვანი; | | კუთხოვანი; | V; | ბოლნისი; |

20. 1861 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ გამოსცა ბრძანება ბატონყმობის გაუქმების შესახებ. საქართველოში ბატონყმობის გაუქმების პროცესში აქტიურად მონაწილეობდა (1)....., რომელმაც შეიმუშავა ეწ. „უმრავლესობის პროექტი“. ბატონყმობა საქართველოში პირველად ქართლ-კახეთში გაუქმდა (2)..... წელს. ყველაზე გვიან კი - (3)..... 1871 წელს.

საჯარაულო პასუხები:

| | | | |
|-----------------|----------------|----------|------------------|
| ილია ჭავჭავაძე; | 1864; | სვანეთი; | დიმიტრი ყიფიანი; |
| 1867; გურია; | ნიკო ნიკოლაძე; | 1869; | აფხაზეთი; |

IV – ისტორიული წყაროს ანალიზი

- ინსტრუქცია დაგალებისათვის – „ისტორიული წყაროს ანალიზი“ - ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. არ დაწეროთ დაგალების პირობაში მოთხოვნილ რაოდენობაზე მეტი: არგუმენტი, ფაქტი, პიროვნების სახელი და ა. შ. დაგალების მაქსიმალური ქულაა – 9.

21. მეფე სვიმონ I-ის წერილი ესპანეთის მეფეს ფილიპე II -ს

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით გწერ ამ წერილს და გიგზავნი წმინდა კოცნას მეფეთა მეფეო, ერველთა მეფეთაგან და ქრისტიანთაგან პატივცემულო მეფეო ფილიპე!

მე სვიმონ გურჯისტანის ხანი, რომელიც ვმბრძანებლობ ჩემს ქვეყანაზე, იცოდეს შენმა დიდებულებამ, რომ აქამდე თურქებისგან შევიწროებულები ვიყავით. ახლა ვხედავთ, რომ ქრისტიანთა სამეფო ფეხზე წამოდგა და დაიძრა მათ წინააღმდეგ.

მე, სვიმონმა, გურჯისტანის ხანმა, ალექსანდრე ხანმა და სპარსეთის შაჰმა აბასმა, ჩვენ სამმა ვითათბირეთ, ვიმსჯელეთ და შევთანხმდით, რომ ამიერიდან ჩვენს ძალებს წინ წავწევთ და თურქებს შევებრძოლებით, წმიდა ქალაქ იერუსალიმის და ქრისტიანების თურქების ხელიდან გათავისუფლებისათვის.

გთხოვ, გევედრები და გემუდარები, მიშუამდგომლო მისი უდიდებულესობის გერმანიის იმპერატორის წინაშე, რათა მან შშვიდობა არ დაამყაროს თურქეთთან, და ამით საშუალება არ მისცეს მას, რომ შეავიწროვოს ჩვენი ერი და ყველა ქრისტიანი.

მე და ჩემი თავადები ქრისტეს სარწმუნოებისათვის ტანჯვასა და სიკვდილზე თავს ვდებთ, რათა ჩვენს დროში ვიხილოთ წმიდა ქალაქი იერუსალიმი და ქრისტეს წმიდა საფლავი ქრისტიან სამეფოთა ხელში.

თუკი მე სვიმონ ხანს შეკითხვის დირსად გამხდი, გიპასუხებ, რომ ლვთის წყალობით მტკიცედ ვდგევარ ქრისტიანულ სარწმუნობაზე, სიკვდილამდე ავიტან ამ ტანჯვას ქრისტეს სიყვარულისათვის, შენი დიდი მეფობისა და მისი უდიდებულესობის გერმანიის იმპერატორისთვის, რომელმაც პირველმა მოგმართა წერილით და ფეხზე დაგვაყენა ქრისტიანთა საქმისთვის.

აგრეთვე გთხოვ, სპარსეთის შაჰს ურჩიო, რომ ერთმანეთს შორის შეთანხმებულად ვიმოქმედოთ და ქრისტიანთა კეთილი საქმეებისთვის ვიზრუნოთ. ნუ დამივიწყებ, საქმის კურსში მამყოფე სიტყვიერად ან წერილობით. ეს წერილი დაიწერა გურჯისტანის ქვეყნის სატახტო ქალაქ ტფილისში.

კითხები:

- (1) 1. რომელი კონკრეტული სამეცო იგულისხმება წერილში ნახსენები “გურჯისტანის” ქვეშ?
- (1) 2. რომელი კონკრეტული სამეცოს მმართველია წერილში ნახსენები ალექსანდრე ხანი?
- (1) 3. წერილის მიხედვით, რა იყო თურქთა წინააღმდეგ გაერთიანების მსურველ მეფეთა საბოლოო მიზანი?
- (2) 4. წერილის ტექსტიდან გამომდინარე, ვის წინაშე და რა საკითხის შესახებ სთხოვს შუამდგომლობას სიმონ მეფე ფილიპე II-ს?
- (2) 5. წერილის ტექსტის მიხედვით, სიმონის თხოვნით, ვის და რა უნდა ურჩიოს ფილიპე II-მ?
- (1) 6. ოქვენი აზრით, რატომ აპირებს მაჟმადიანი შაჟი ქრისტიან მეფეებთან ერთად გაერთიანებას?
- (1) 7. ოქვენი აზრით, რომელი საუკუნის რომელ ნახევარშია დაწერილი ეს წერილი?

V – პრობლემის ანალიზი

- ინსტრუქცია დავალებისათვის – „პრობლემის ანალიზი“ - ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. არ დაწეროთ დავალების პირობაში მოთხოვნილ რაოდენობაზე მეტი არგუმენტი. დავალების მაქსიმალური ქულაა – 4.

22. დავით IV-ის მიერ ყივჩაღების გადმოსახლება

1117 წელს დავით IV-მ ერისთავები შეკრიბა სათათბიროდ. გადასაწყვეტი იყო ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, გადმოესახლებინათ თუ არა საქართველოში ყივჩაღები. ერთი ერისთავი ყივჩაღთა ჩამოსახლების წინააღმდეგი იყო, ხოლო მეორე ერისთავი კი მათ ჩამოსახლებას უჭერდა მხარს.

კითხები:

- (2) 1. მოიყვანეთ ორი კონკრეტული (პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური ან კულტურულ-რელიგიური) არგუმენტი პირველი ერისთავის მოსაზრების განსამტკიცებლად.
- (2) 2. მოიყვანეთ ორი კონკრეტული (პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური ან კულტურულ-რელიგიური) არგუმენტი მეორე ერისთავის მოსაზრების განსამტკიცებლად.

VI – ორი ისტორიული რუკის შედარება და ანალიზი

- ინსტრუქცია დაგალებისათვის – „ორი ისტორიული რუკის შედარება და ანალიზი“ - შეადარეთ ერთმანეთს ორი ისტორიული რუკა და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. არ დაწეროთ დაგალების პირობაში მოთხოვნილ რაოდენობაზე მეტი: ისტორიული მხარე, სამეფო, სამთავრო, სახელმწიფო, გეოგრაფიული ობიექტი და ა.შ. დავალების მაქსიმალური ქულად – 7.

23. შეადარეთ ერთმანეთს ორი რუკა და უპასუხეთ შეკითხვებს (რუკა №1 - რომის იმპერია II საუკუნეში; რუკა №2 - რომის იმპერია III საუკუნეში)

კითხვები:

(1) 1. რუკებზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რა მიმართულებით გადაადგილდა გოთების ნაწილი?


(1) 2. რომელი ახალი სახელმწიფო წარმოიქმნა კავკასიაში?


(1) 3. №2 რუკის მიხედვით, რომელი გერმანული ტომები ახორციელებდნენ ყველაზე მასშტაბურ შეტევას რომის პროვინციებზე?

(1) 4. რომელი არაგერმანული ტომი სახლობდა რომის იმპერიის საზღვრებთან III საუკუნეში?

(1) 5. რომელი ახალი გერმანული ტომები გამოჩნდნენ რომის იმპერიის საზღვრებთან III საუკუნეში?

(2) 6. რა სახის კონკრეტული ცვლილებები განიცადა რომის იმპერიის საზღვარმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე?





II. გეოგრაფია

I – ოთხი შესაძლო ვარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი

- ინსტრუქცია დავალებისათვის – „ოთხი შესაძლო ვარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი“ – თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

24. რომელი მტკიცებულებაა მართებული?

- ა. საქართველოში ტორფის მარაგით ყველაზე უფრო მდიდარი ფოთის მიდამოებია;
ბ. საქართველოში ტორფის მარაგით ყველაზე უფრო მდიდარი ბათუმის მიდამოებია;
გ. საქართველოში ტორფის მარაგით ყველაზე უფრო მდიდარი სოხუმის მიდამოებია;
დ. საქართველოში ტორფის მარაგი საერთოდ არ არის.

25. რომელ ნიადაგს თვლიდნენ ნიადაგმცოდნები ადრე წითელმიწა ნიადაგების ქვეტიპად, ამჟამად კი ნიადაგის დამოუკიდებელ ტიპად არის მიჩნეული?


- ა. ყომრალს;
ბ. რუსს;
გ. შავმიწას;
დ. ყვითელმიწას.

26. რომელი მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრებია: ჩრდილოეთით – კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთით – მდ. ენგური, ჩრდილო-დასავლეთით – მდ. ფსოუ, ხოლო დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით – შავი ზღვა.

- ა. აფხაზეთის;
ბ. აჭარის;
გ. გურიის;
დ. იმერეთის.


27. მსოფლიოს რუკაზე დატანილი რომელი წერტილის გეოგრაფიული კოორდინატები შეესაბამება – 8° ს.გ. 125° დ.გ.?

- ა. A;
- ბ. B;
- გ. C;
- დ. D;



28. ნახაზე გამოსახული რომელი მონაკვეთია ხელსაყრელი (უფრო იოლი) მთაზე
ასასვლელად?

- ა. BA;
- ბ. CA;
- გ. DA;
- დ. EA.



29. აირჩიეთ ევროპა-აზიას შორის საზღვრის გატარების ის ვერსია, როდესაც მთელი
კავკასია ევროპის შემადგენლობაში შედის.



- ა. საზღვარი მიუყვება ყუმა-მანიჩის დრმულს;
- ბ. საზღვარი მიუყვება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს;
- გ. საზღვარი მიუყვება მდინარეებს: რიონს, ყვირილასა და მტკვარს;
- დ. საზღვარი მიუყვება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სახელმწიფო საზღვარს
ირანთან და თურქეთთან.

30. რა აქვთ საერთო იტალიასა და საქართველოს?

- ა. ორივე ქვეყანას ესაზღვრება ერთი და იგივე რაოდენობის ქვეყნები;
- ბ. ორივე ქვეყანას ესაზღვრება ატლანტიკის ოკეანის აუზის ზღვები;
- გ. ორივე ქვეყანას ვეტოს უფლება აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში;
- დ. ორივე სახელმწიფო ესაზღვრება თურქეთს.

31. რითი აიხსნება ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის დროშების მსგავსება?

- ა. ორივე ქვეყანაში ინგლისურ ენაზე საუბრობენ;
- ბ. ორივე კუნძულოვანი სახელმწიფოა;
- გ. ერთმანეთის მეზობელი ქვეყნებია;
- დ. ორივე ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრია.



32. შეარჩიეთ მოსაზრება, რომელშიც ურბანიზაციის პროცესზეა საუბარი.

- ა. შიდა ქართლის ვაკე ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული რეგიონია საქართველოში, რომელიც გამოირჩევა მსხვილი სასოფლო დასახლებების სისტემით;
- ბ. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მთათაშორის ბარშია თავმოყრილი, რაც ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის მაღალ სიმჭიდროვეს ქმნის;
- გ. საქართველოს მსხვილი ქალაქები მიზიდულობის ზონებს ქმნიან და ახლომდებარე საქალაქო და სასოფლო დასახლებებთან ერთად წარმოქმნიან აგლომერაციებს;
- დ. XX საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში ინტენსიურად შემოვიდნენ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მცხოვრებლები (დროებით ან მუდმივ საცხოვრებლად).

33. ქვემოთ მოყვანილია ცხრილი, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა ქვეყნის ე.შ.პ. მონაცემები 2006 წლის მიხედვით.

| ქვეყანა | ე.შ.პ. | ე.შ.პ. ერთ სულ მოსახლეზე |
|--------------|-----------------|-----------------------------|
| 1 სირია | 75 100 000 000 | 4000 |
| 2 საქართველო | 17 790 000 000 | 3800 |
| 3 ვიეტნამი | 258 600 000 000 | 3100 |
| 4 ძუბა | 44 540 000 000 | 3900 |

კვლავ ქვეყნისთვის მონაცემები მოცემულია ამავე დოკუმენტში.

მოცემული ცხრილიდან გამომდინარე, რომელ ქვეყნაშია ყველაზე მეტი მოსახლეობა?

- ა. სირიაში;
- ბ. საქართველოში;
- გ. ვიეტნამში;
- დ. კუბაში.


II – დაალაგეთ მოცემული პირობის თანახმად

- ინსტრუქცია დავალებისათვის – „დაალაგეთ მოცემული პირობის თანახმად“ – პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ ვერტიკალური სარტყლის ან დიაგრამის შესაბამისი ციფრი. თითოეული დავალება მაქსიმუმ 3 ქულით ფასდება.


34. დაალაგეთ თანმიმდევრულად კავკასიონის ვერტიკალური სარტყლები ზღ.დ-დან სიმაღლის მატების მიხედვით.

1. ნივალური;
2. წიწვოვანი ტყეების;
3. ალპური;
4. სუბნივალური.


35. მოცემული დიაგრამების საშუალებით, დააღავეთ ზრდის მიხედვით მოცემულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა.




1.




2.



3.



4.



III – ჩაწერეთ მრავალწერტილის ნაცვლად სწორი პასუხები

- ინსტრუქცია დავალებისათვის – „ჩაწერეთ მრავალწერტილის ნაცვლად სწორი პასუხები“ - ტექსტში გამოტოვებული სიტყვების ნაცვლად ჩაწერეთ სწორი პასუხები. თითოეული გამოტოვებული ადგილი დანომრილია (1, 2, 3). პასუხების ფურცელში 1-ით დანომრილ ადგილზე ჩაიწერება ის პასუხი, რომელსაც ტექსტში 1-ით აღნიშნულ გამოტოვებულ ადგილზე ჩაწერდით და ა.შ. თითოეული სწორი პასუხი 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა – 3.

36. როგორც ცნობილია, შავი ზღვა უდიდეს გავლენას ახდენს საქართველოს ჰავის ფორმირებაზე, განსაკუთრებით, (1) და მიმდებარე ტერიტორიის პაერის ტემპერატურაზე. (2). ზღვის სანაპიროდან 100-120 კმ-ის დაშორებითაც კი ქრის. შავი ზღვის უდიდესი ნაწილი (3) სარტყელშია მოქცეული.

ნალექების განაწილება, პასატი, ზომიერი, მზის რადიაცია,
ატმოსფეროს ცირკულაცია, მუსონი, სუბტროპიკული, ბრიზი, ტროპიკული.

37. ტელევიზია (1). შედარებით ახალი დარგია. საქართველოში ტელევიზიის დაბადების თარიღია (2). წელი. დღესდღეობით საქართველოში არაერთი ტელეკომპანია ფუნქციონირებს, მათ შორის საზოგადოებრივი ტელევიზიაც, რომელმაც (3). შეცვალა.

კავშირგაბმულობა; 1968; სახელმწიფო ტელევიზია; ინფორმაცია; 1961;
ცენტრალური ტელევიზია; სამთავრობო ტელევიზია; 1957; ქურნალისტიკა.

IV. შესაბამისობების პოვნა

- ინსტრუქცია დავალებებისათვის – „შესაბამისობების პოვნა“ – თქვენ უნდა დაადგინოთ შესაბამისობა ცხრილის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციებს შორის. პასუხები უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცელში განთავსებულ ცხრილში (x ნიშანი უნდა დასვათ სწორი პასუხის ადგილას. მაგ.: „A“ და „l“-ის გადაკვეთაზე). თითოეული დავალება მაქსიმუმ 3 ქულით ფასდება.

38. დაადგინეთ შესაბამისობა განმარტებებსა და ტერმინებს შორის.

ტერმინთა განმარტებები

- თბილი ქარი, რომელიც ქრის მთებიდან ხეობებში;
- ზამთრის და ზაფხულის ტემპერატურებს შორის სხვაობა;
- მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დედამიწის ზედაპირს (რელიეფს);
- დღე-დამური პერიოდის მქონე ქარები, რომლებიც ქრიან ზღვებისა და დიდი ტბების ნაპირებთან.

ტერმინები

- მაგნიტუდა;
- წლიური ამპლიტუდა;
- გეოლოგია;
- გეომორფილოგია;
- ფიონი;
- ბრიზი.

39. დაადგინეთ შესაბამისობა ელექტროსადგურებსა და მათ ენერგიის წყაროებს შორის.

ელექტროსადგურები

- ოეს-ი;
- ჰელიო;
- აეს-ი;
- ჰეს-ი.

ენერგიის წყაროები

- ურანი;
- ქარი;
- წყალი;
- გაზი;
- მზე;
- ზღვა.

V. ტოპოგრაფიული რუკის ანალიზი

- ინსტრუქცია დავალებისათვის – “ტოპოგრაფიული რუკის ანალიზი” – ყურადღებით შეისწავლეთ მოცემული ტოპოგრაფიული რუკა. რუკის ლეგენდის გამოყენებით, უპასუხეთ დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. არ დაწეროთ დავალების პირობაში მოთხოვნილ რაოდენობაზე მეტი: გეოგრაფიული ობიექტი, ლანდშაფტი, ფაქტორი, მოვლენა, არგუმენტი და ა.შ. დავალების მაქსიმალური ქულაა – 7.

40. ყურადღებით გაეცანით ტოპოგრაფიულ რუკას და უპასუხეთ დასმულ კითხვებს:

(1) 40.1. რუკის მიხედვით, მდინარეთა კვების რეჟიმში რომელი კომპონენტი სჭარბობს?


- ა. წვიმის წყლები;
- ბ. გრუნტის წყლები;
- გ. მყინვარების წყლები;
- დ. ჭაობების წყლები;

(1) 40.2. დაასახელეთ გამდინარი ტბა.

(1) 40.3. პორიზონტის ძირითადი და შუალედური მხარეების გათვალისწინებით, ზუსტად განსაზღვრეთ სოფელ უყედან რა მიმართულებით მდებარეობს დაბა ფცა?

(1) 40.4. დაასახელეთ ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე დასახლებული პუნქტი.

(3) 40.5. რუკაზე დატანილ რომელ მდინარეს აქვს ყველაზე მეტი შენაკადი? მიუთითოთ, რომელია მათ შორის მარჯვენა და რომელი მარცხენა.



პირობითი ნაშენები




კალიფის ტიპის დასახვების
ექსარტები




ლინიური
ტიპის
დასახვების
ექსარტები




სასამართლო
ტიპის
დასახვების
ექსარტები



სასამართლო
ტიპის
დასახვების
ექსარტები



ასევე გვიჩვენ გვიჩვენ
სასამართლო
ტიპის
დასახვების
ექსარტები



სასამართლო
ტიპის
დასახვების
ექსარტები




ნაშენები
ნიშანი



გართვეთოლოვანი
ტექნიკი

გეგენური
ტექნიკი




ეპლენი



გართვეთოლოვანი
ტექნიკი

გეგენური
ტექნიკი



სასამართლო
ტიპის
დასახვების
ექსარტები



გართვეთოლოვანი
ტექნიკი

გეგენური
ტექნიკი

გასტეგი 1 : 10 000



გდ. ლაპარა
ედინარები: 1- 1-2 გეტრადე სივენი; 2- 3-4
ეტრადე სივენი; 3- 4-5 გეტრადე სივენი; 4-
5 გეტრადე სივენი

დაბის ტიპის დასახვების
ექსარტები

სასამართლო
ტიპის
დასახვების
ექსარტები



ტერიტორია

ტერიტორია

1 2 3 4
ტერიტორია


659,4 • აბსოლუტური სიგაღლის განვიწყოლება
დანდ შეფტისის საზღვრის განვიწყოლება

სასამართლო
ტიპის
დასახვების
ექსარტები

VI. შეცდომების გასწორება რუკაზე

- ინსტრუქცია დავალებისათვის – „შეცდომების გასწორება რუკაზე“ - ყურადღებით შეისწავლეთ ქვემოთ მოყვანილი კონტურული რუკა და იპოვეთ მასზე დაშვებული შეცდომები. პასუხები ჩაწერეთ ცხრილში, რომელიც განთავსებულია პასუხების ფურცელში. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება არა მარტო თქვენს მიერ ნაპოვნი შეცდომა, არამედ შეცდომა და მისი გამოსწორებული ვარიანტი. დავალების მაქსიმალური ქულაა – 3.

41. გაასწორეთ საქართველოს კონტურულ რუკაზე დაშვებული სამი შეცდომა.



VII. ინფორმაციის ტრანსფორმაცია

- ინსტრუქცია დავალებისათვის – „ინფორმაციის ტრანსფორმაცია“ - ყურადღებით შეისწავლეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. არ დაწეროთ დავალების პირობაში მოთხოვნილ რაოდენობაზე მეტი: მიზეზი, ფაქტორი, მოვლენა, არგუმენტი და ა.შ. დავალების მაქსიმალური ქულაა – 6.

42. გააანალიზეთ ცხრილი და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს.

| | A ქვეყანა | B ქვეყანა |
|---|-----------|-----------|
| მოსახლეობის საერთო რაოდენობა წლის დასაწყისში | 10000 | 20000 |
| შობადობის კოეფიციენტი წლის განმავლობაში | 20% | 15% |
| სიკვდილიანობის კოეფიციენტი წლის განმავლობაში | 18% | 17% |
| ემიგრანტთა რაოდენობა წლის განმავლობაში (ბოლოს) | 250 | 250 |
| იმიგრანტთა რაოდენობა წლის განმავლობაში (ბოლოს) | 200 | 300 |

(3) 42.1. დაწერეთ ფორმულა (სიტყვიერად), რომელიც წლის ბოლოსათვის B ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის საშუალებას მოგვცემს. შემდეგ ჩასვით სათანადო მონაცემები და გამოიანგარიშეთ. აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

(3) 42.2. A ქვეყანაში მოსახლეობის ბუნებრივ მატებას აქვს ადგილი თუ კლებას? რამდენი ადამიანი შეადგინა სხვაობამ A და B ქვეყანას შორის ბუნებრივი მატების შედეგად წლის განმავლობაში? აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

VIII. გეოგრაფიული ტექსტის ანალიზი

- ინსტრუქცია დავალებისათვის – „გეოგრაფიული ტექსტის ანალიზი“ - ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, გააანალიზეთ და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილებზე. თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა. დავალების მაქსიმალური ქულაა – 6.

43. ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული გეოგრაფიული ტექსტი და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს.

ტექსტში აღწერილია კონკრეტული ბუნებრივი ტერიტორიული კომპლექსი.

დასავლეთ საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული ტყეები, რომელშიც მრავალი სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეა წარმოდგენილი. ეს ჯიშები თითქმის თანაბარი რაოდენობით გვხვდება, რის გამოც ტყეში რთულია ერთი ან ორი წამყვანი მცენარის გამოყოფა. ხეებიდან ჭარბობს – წაბლი, წიფელი, რცხილა, ნეკერჩხალი, თელა, ცაცხვი, იფანი, მურყანი, მუხა. ამ ტყეებისთვის დამახასიათებელია მძლავრი მარადმწვანე ქვეტყე (შქერი, წყავი, ბაბგი და ბზა).

აღნიშნული ტყეები რთული ვერტიკალური სტრუქტურით ხასიათდება. მცენარეულობა რამდენიმე იარუსად არის განლაგებული რაც, თავის მხრივ, ამცირებს მათში მზის რადიაციისა და სინათლის შეღწევას.

ეს ტყეები ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზეა განლაგებული, დაწყებული უშუალოდ ზღვის სანაპიროდან (მიუსერას ნაკრძალი) დამთავრებული ზღ.დ. 1000 მეტრ სიმაღლემდე (იმერეთი). ისინი ყველაზე კარგად წარმოდგენილია აჭარა-გურიაში, რაც მისი განვითარებისთვის ხელსაყრელი კლიმატური პირობების არსებობით აიხსნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტში აღწერილი ტყეები მსგავსებას ავლენენ როგორც ტროპიკული, ასევე ზომიერი სარტყლის ტყეებთან. ამრიგად, მათ გარდამავალი ხასიათი აქვთ, ისინი ტიპიური სუბტროპიკული ტყეებია.

(1) 43.1. დაასახელეთ ფაქტორი, რომელიც ამ ტყეში ამცირებს მზის რადიაციასა და სინათლის შედწევას?

- ა. ფოთლოვანი მცენარეების სიჭარბე;
- ბ. მარადმწვანე ქვეტყვე;
- გ. მრავალიარუსიანობა;
- დ. მაღალი სინოტივე.

(1) 43.2. დაასახელეთ პავის ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც ხელს უწყობს ტექსტში აღწერილი ტყეების გავრცელებას?

- ა. ატმოსფერული წნევა და ნალექები;
- ბ. ნალექები და ადგილის ჰიფსომეტრია;
- გ. სიმაღლე ზღვის დონიდან და ტემპერატურა;
- დ. პაერის ტემპერატურა და სინოტივე.

(1) 43.3. როგორი ტიპის პავაა გავრცელებილი აღნიშნულ რეგიონში?

- ა. მშრალი სუბტროპიკული;
- ბ. ნოტიო სუბტროპიკული;
- გ. ხმელთაშუაზღვიური;
- დ. ზომიერად კონტინენტური.

(1) 43.4. დაასახელეთ ტექსტში მოყვანილი ნიშანი, რომლითაც ეს ტყეები მსგავსებას არ ავლენენ ტროპიკულ ტყეებთან.

- ა. მარადმწვანე ქვეტყვის არსებობა;
- ბ. დომინანტი სახეობის არარსებობა;
- გ. მრავალიარუსიანობა;
- დ. ფოთოლმცვენი ხემცენარეების სიჭარბე;

(1) 43.5. გურიის, აჭარისა და იმერეთის გარდა, საქართველოს კიდევ რომელ კუთხეშია გავრცელებული აღნიშნული ტყეები?

- ა. აფხაზეთში;
- ბ. სვანეთში;
- გ. ჯავახეთში;
- დ. ლეჩეუმში.

(1) 43.6. რას უწოდებენ ასეთი ტიპის ტყეებს ტროპიკულ სარტყელში?

ა. ჯუნგლი;

ბ. სელვა;

გ. ჰემიპილეა;

დ. პატა.

საქართველოს ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. საქართველოს ისტორია

| დაგალების № | სწორი პასუხი | მაქსიმალური ქულა |
|-------------|---|------------------|
| 1 | ღ | 1 |
| 2 | ბ | 1 |
| 3 | ბ | 1 |
| 4 | ბ | 1 |
| 5 | ღ | 1 |
| 6 | ბ | 1 |
| 7 | ვ | 1 |
| 8 | ღ | 1 |
| 9 | ბ | 1 |
| 10 | ვ | 1 |
| 11 | ბ | 1 |
| 12 | ვ | 1 |
| 13 | ბ | 1 |
| 14 | ბ | 1 |
| 15 | ბ | 1 |
| 16 | 3; 2; 4; 1 – 3 ქულა 2; 4; 1; 3 – 2 ქულა 1; 3; 2; 4 – 2 ქულა 3; 2; 1; 4 – 1 ქულა 1; 2; 4; 3 – 1 ქულა 2; 3; 4; 1 – 1 ქულა 3; 4; 2; 1 – 1 ქულა | 3 |
| 17 | 4; 2; 3; 1 – 3 ქულა 1; 4; 2; 3 – 2 ქულა 2; 3; 1; 4 – 2 ქულა 4; 2; 1; 3 – 1 ქულა | 3 |

| | | |
|------|--|---|
| | 1; 2; 3; 4 – 1 ქულა 2; 4; 3; 1 – 1 ქულა 4; 3; 2; 1 – 1 ქულა | |
| 18 | (1) “მოქცევაი ქართლისაი” – 1 ქულა (2) აზო – 1 ქულა (3) III – 1 ქულა | 3 |
| 19 | (1) მრგვლოვანი – 1 ქულა (2) ბოლნისი – 1 ქულა (3) V – 1 ქულა | 3 |
| 20 | (1) დიმიტრი ყიფიანი – 1 ქულა (2) 1864 – 1 ქულა (3) სვანეთი – 1 ქულა | 3 |
| 21-1 | ქართლის სამეფოს; ქართლის – 1 ქულა | 1 |
| 21-2 | კახეთის სამეფოს; კახეთის – 1 ქულა | 1 |
| 21-3 | იერუსალიმისა და ქრისტიანთა გათავისუფლება// იერუსალიმის გათავისუფლება – 1 ქულა | 1 |
| 21-4 | გერმანიის იმპერატორს წინაშე – 1 ქულა; მშვიდობა არ დაამყაროს თურქებთან//ოსმალებთან – 1 ქულა | 2 |
| 21-5 | სპარსეთის შაჰს (აბასს) – 1 ქულა; შეთანხმებულად იმოქმედონ და ქრისტიანთა კეთილი საქმეებისთვის იზრუნონ//შეთანხმებულად იმოქმედონ – 1 ქულა | 2 |
| 21-6 | ირანი და თურქეთი//ოსმალეთი მტრები იყვნენ; ნებისმიერი ლოგიკური არგუმენტი ფაქტობრივი შეცდომის გარეშე – 1 ქულა | 1 |
| 21-7 | XVI ს-ის II ნახევარი – 1 ქულა | 1 |
| 22-1 | 1. სავარაუდო პასუხები – ყივჩაღები მომთაბარე ხალხი იყო და მათი ერთ ადგილზე დასახლება შეუძლებელი იქნებოდა; ყივჩაღები მომთაბარე ხალხი იყო, სხვის ძარცვასა და რბევას მიწვეული, შესაძლოა მათ ადგილობრივი მოსახლეობა დაეჩაგრათ; დიდი რაოდენობით უცხოტომელების ჩამოსახლება შეცვლიდა მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას; | 2 |

| | | |
|------|---|---|
| | <p>ახალჩამოსახლებულთა ნდობა ბრძოლაში ძალიან მნელი იყო; საქართველოს მოწინააღმდეგი სელჩუკებსა და ყივჩაღებს საერთო წარმომავლობა ჰქონდათ, ამიტომ ყივჩაღების ნდობა შეუძლებელი იქნებოდა; მათი ჩამოსახლება ქვეყნისთვის დამატებითი ხარჯი იქნებოდა;</p> | |
| 22-2 | <p>2. სავარაუდო პასუხები – გაიზრდებოდა საქართველოს ჯარის რაოდენობა და სიძლიერე და აქედან გამომდინარე, შედეგები; სამსედრო ვალდებულებისაგან გათავისუფლებული გლეხები თავის საქმეს მიხედავდნენ, რაც ქვეყნის ეკონომიკას განავითარებდა; ყივჩაღები მოლიანად მეფეზე იქნებოდნენ დამოკიდებული და არა დიდებულებზე; მათი გამოყენება შინაური მტრების წინააღმდეგ უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე ქართული ჯარის; მომთაბარე და განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფი, ნაკლებად კულტურული ყივჩაღების „გაქართველება“ აღვილი იქნებოდა; მეფეს ყივჩაღთა მთავრის ასული პყავდა ცოლად, რაც ამ უკანასკნელთა ერთგულების დამატებითი გარანტია იყო;</p> | 2 |
| 23-1 | სამხრეთ-აღმოსავლეთით – 1 ქულა | 1 |
| 23-2 | ალბანეთი – 1 ქულა | 1 |
| 23-3 | გოთები – 1 ქულა | 1 |
| 23-4 | სარმატები - 1 ქულა | 1 |
| 23-5 | ფრანგები; ბურგუნდები; ალემანები – 1 ქულა | 1 |
| 23-6 | დაკარგა დიოსკურია და ფაზისი – 1 ქულა; დაიკავა II საუკუნეში ქართლის სამეფოს კუთვნილი ტერიტორია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთში – 1 ქულა; | 2 |

2. გეოგრაფია

| დაგენ მგლ № | სტრუ აასშები | მასიმ ალურ 0 ძულა |
|-------------------|--|----------------------------|
| 24 | ა | 1 |
| 25 | ღ | 1 |
| 26 | პ | 1 |
| 27 | ბ | 1 |
| 28 | ბ | 1 |
| 29 | ღ | 1 |
| 30 | ბ | 1 |
| 31 | ღ | 1 |
| 32 | ბ | 1 |
| 33 | ბ | 1 |
| 34 | 2,3,4,1 – 3 ძულა 3,4,1,2 – 2 ძულა 1,2,3,4 – 2 ძულა 2,4,3,1 – 1 ძულა 1,3,4,2 – 1 ძულა 2,3,1,4 – 1 ძულა 3,2,4,1 – 1 ძულა | 3 |
| 35 | 3,1,2,4 – 3 ძულა 1,2,4,3 – 2 ძულა 4,3,1,2 – 2 ძულა 3,2,1,4 – 1 ძულა 4,1,2,3 – 1 ძულა 3,1,4,2 – 1 ძულა 1,3,2,4 – 1 ძულა | 3 |
| 36 | (1) ნალექების განაზიანებაზე – 1 ძულა; (2) პრიზი – 1 ძულა; (3) სუბტროპიკულ – 1 ძულა. | 3 |
| 37 | (1) კავშირგაბმულობის – 1 ძულა; (2) 1957 – 1 ძულა; (3) სახელმწიფო ტელევიზია – 1 ძულა. | 3 |

| დაგენ ების № | სწორი პასუხები | მასივ ალტრ 0 ძულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|--------------------|---|----------------------------|---|---|---|---|---|---|---|--|--|--|---|---|--|---|--|---|--|--|---|--|---|---|--|--|---|--|--|---|--|--|---|--|--|---|---|
| 38 | <table border="1"> <thead> <tr> <th></th><th>1</th><th>2</th><th>3</th><th>4</th><th>5</th><th>6</th></tr> </thead> <tbody> <tr> <td>A</td><td></td><td></td><td></td><td></td><td>X</td><td></td></tr> <tr> <td>B</td><td></td><td>X</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr> <tr> <td>C</td><td></td><td></td><td></td><td>X</td><td></td><td></td></tr> <tr> <td>D</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td>X</td></tr> </tbody> </table> | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | A | | | | | X | | B | | X | | | | | C | | | | X | | | D | | | | | | X | 3 |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| A | | | | | X | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| B | | X | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| C | | | | X | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| D | | | | | | X | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 39 | <table border="1"> <thead> <tr> <th></th><th>1</th><th>2</th><th>3</th><th>4</th><th>5</th><th>6</th></tr> </thead> <tbody> <tr> <td>A</td><td></td><td></td><td></td><td>X</td><td></td><td></td></tr> <tr> <td>B</td><td></td><td></td><td></td><td></td><td>X</td><td></td></tr> <tr> <td>C</td><td>X</td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr> <tr> <td>D</td><td></td><td></td><td>X</td><td></td><td></td><td></td></tr> </tbody> </table> | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | A | | | | X | | | B | | | | | X | | C | X | | | | | | D | | | X | | | | 3 |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| A | | | | X | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| B | | | | | X | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| C | X | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| D | | | X | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 40.1 | δ | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 40.2 | ყელის ფია | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 40.3 | ჩრდილო-დასავლეთი | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 40.4 | <p>ზღ. მცენაზე მაღლა მდებარეობს სოფლები საჯიხე და უყა (1000-1500 მ) – 1 ძულა</p> <p>ამ სოფლებიდან ნებისმიერი ერთის დასახელება სწორ პასუხად ჩაითვლება. სხვა პასუხი 0 ქულით ფასდება.</p> | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 40.5 | <ul style="list-style-type: none"> ❖ მდინარე 0ოს – 1 ძულა; ❖ მარჯვენა შენაკადებია – ნაკადულა და ლახტი – 1 ძულა; ❖ მარცხენა შენაკადებია – გება და ცივი – 1 ძულა. <p>იმ შემთხვევაში თუ სწორად დასახელდება თითო-თითო შენაკადი მაინც 1-1 ქულა დაიწერება</p> | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| დაგენ ების № | სორტი პასუხები | მასივ ალერ ი გულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|--------------------|---|----------------------------|----------------------|-------------|--------------|-------------|--------------|----|------------|----|-----|-------|--|----|---------|----|----|---------|--|----|--------------|----|----------|-----|--|----|---------------|----|----------|------|--|---|
| 41 | <table border="1" data-bbox="298 291 1274 494"> <thead> <tr> <th data-bbox="298 291 372 375">№</th><th data-bbox="372 291 551 375">შეცდომით დაფანილი</th><th data-bbox="551 291 674 375">არის</th><th data-bbox="674 291 747 375">№</th><th data-bbox="747 291 837 375">მის იყოს</th><th data-bbox="837 291 1274 375">ნაცვლად უნდა</th></tr> </thead> <tbody> <tr> <td data-bbox="298 375 372 418">1.</td><td data-bbox="372 375 551 418">მდ. კოდორი</td><td data-bbox="551 375 674 418">1.</td><td data-bbox="674 375 747 418">მდ.</td><td data-bbox="747 375 837 418">გზივი</td><td data-bbox="837 375 1274 418"></td></tr> <tr> <td data-bbox="298 418 372 460">2.</td><td data-bbox="372 418 551 460">ქ. ბორი</td><td data-bbox="551 418 674 460">2.</td><td data-bbox="674 418 747 460">ქ.</td><td data-bbox="747 418 837 460">შუთაისი</td><td data-bbox="837 418 1274 460"></td></tr> <tr> <td data-bbox="298 460 372 502">3.</td><td data-bbox="372 460 551 502">ხანჩალის ტბა</td><td data-bbox="551 460 674 502">3.</td><td data-bbox="674 460 747 502">გარჯახის</td><td data-bbox="747 460 837 502">ტბა</td><td data-bbox="837 460 1274 502"></td></tr> <tr> <td data-bbox="298 502 372 544">4.</td><td data-bbox="372 502 551 544">მრუშათის ქედი</td><td data-bbox="551 502 674 544">4.</td><td data-bbox="674 502 747 544">შავშეთის</td><td data-bbox="747 502 837 544">ქედი</td><td data-bbox="837 502 1274 544"></td></tr> </tbody> </table> | № | შეცდომით დაფანილი | არის | № | მის იყოს | ნაცვლად უნდა | 1. | მდ. კოდორი | 1. | მდ. | გზივი | | 2. | ქ. ბორი | 2. | ქ. | შუთაისი | | 3. | ხანჩალის ტბა | 3. | გარჯახის | ტბა | | 4. | მრუშათის ქედი | 4. | შავშეთის | ქედი | | 3 |
| № | შეცდომით დაფანილი | არის | № | მის იყოს | ნაცვლად უნდა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | მდ. კოდორი | 1. | მდ. | გზივი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2. | ქ. ბორი | 2. | ქ. | შუთაისი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3. | ხანჩალის ტბა | 3. | გარჯახის | ტბა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4. | მრუშათის ქედი | 4. | შავშეთის | ქედი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 42.1 | <p>* მოსახლეობა წლის ბოლოს = მოსახლეობა წლის დასაწყისში + დაბადებულები წლის განმავლობაში – გარდაცვლილები წლის განმავლობაში</p> <ul style="list-style-type: none"> - ემიგრანტთა რაოდენობა წლის განმავლობაში + იმიგრანტთა რაოდენობა <p>წლის განმავლობაში (1ქულა)</p> <p>ან</p> <p>მოსახლეობა წლის ბოლოს = მოსახლეობა წლის დასაწყისში + ბუნებრივი ნამატი წლის განმავლობაში + მექანიკური ნამატი წლის განმავლობაში (2ქულა)</p> <p>* $20000+20*15-20*17-250+300=20010$ ადამიანი შეადგინა წლის ბოლოს B ქვეყნის მოსახლეობამ (1ქულა)</p> <p>ან</p> <p>$20000-20*2+50=20010$ ადამიანი შეადგინა წლის ბოლოს B ქვეყნის მოსახლეობამ (1ქულა)</p> | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| დაგენ ვალის № | სორტი პასუხები | მასივი აღწერ 0 ძულა |
|---------------------|--|------------------------------|
| 42.2 | <p>ადგილი აქვს მატებას -1ქულა</p> <p>A) ქვეყანა $10*20-10*18=20$ ადამიანით მოიმტა-1ქულა</p> <p>B) ქვეყანა $20*15-20*17=-40$ ადდამიანით დაიკლო</p> <p>სხვაობამ შეადგინა 60 ადამიანი-1ქულა</p> | 3 |
| 43.1 | δ | 1 |
| 43.2 | ꝝ | 1 |
| 43.3 | δ | 1 |
| 43.4 | ꝝ | 1 |
| 43.5 | ɔ | 1 |
| 43.6 | δ | 1 |